**მუხლი 789. სასაწყობო მოწყობის რეკვიზიტები**

**1. სასაწყობო მოწმობაში უნდა აღინიშნოს:**

**ა. სასაწყობო მოწმობის გაცემის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი;**

**ბ. მხარეთა ვინაობა და მისამართი;**

**გ. შენახვის ადგილი;**

**დ. საქონლის შენახვის წესი;**

**ე. შესანახი საქონლის აღწერა (ოდენობა, ზომა ან წონა) და ხარისხი; საქონლის შეფუთვისას – შეფუთვის აღწერა;**

**ვ. შენახვის საზღაურისა და სხვა აუცილებელი ხარჯების ოდენობა;**

**ზ. თუ შესანახი საქონელი დაზღვეულ უნდა იქნეს, მაშინ – სადაზღვევო თანხა;**

**თ. ხელშეკრულების მოქმედების ვადა;**

**ი. შემნახველის ხელმოწერა, დამოწმებული შესაბამისი ბეჭდით.**

**2. თუ ამ მუხლში დასახელებული პირობები სრულად არ არის ასახული სასაწყობო მოწმობაში, ეს მხარეებს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. მხარეებს უფლება აქვთ სასაწყობო მოწმობაში შეიტანონ სხვა პირობებიც.**

## I. ნორმის მიზანი

ფასიანი ქაღალდი ფორმალური ნიშნითაც გამოირჩევა: დოკუმენტი უნდა 1
შედგეს კანონით განსაზღვრული ფორმით და შეიცავდეს ყველა აუცილებელ რეკვიზიტს, რომლის უგულვებელყოფამ შეიძლება ფასიანი ქაღალდის ბათილობა გამოიწვიოს[1] სასაქონლო საწყობში შემნახველი ვალდებულია ნებისმიერი შესრულება, მათ შორის სასაწყობო მოწმობის დამზადება, განახორციელოს კეთილსინდისიერი კომერსანტის გულისხმიერებით. იგი პასუხს აგებს სასაწყობო მოწმობის ლეგიტიმური მფლობელის წინაშე სასაწყობო მოწმობაში მოცემული მონაცემების (რომელიც ეხება მოცულობას, სახეობას, სახეს და საქონლის მდგომარეობას (ხარისხს)), სისწორისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან სასაწყობო მოწმობაზე გაკეთებული აღნიშვნით ნათელი გახადა, რომ მონაცემები დაფუძნებულია სასაქონლო საწყობში შემნახველის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე ან მესამე პირის მიერ მიწოდებულ ცნობებზე. ეს პასუხისმგებლობა მდგომარეობს არა მხოლოდ გაცემული სასაწყობო მოწმობის შინაარსისასთვის, არამედ აგრეთვე იმ შემთხვევისათვის, როდესაც მან სასაწყობო მოწმობა იმ დროისათვის გაუშვა ბრუნვაში, როდესაც ამის უფლებამოსილება მას არ ჰქონდა. ამასთან, სასაწყობო მოწმობის გაცემისას სასაქონლო საწყობში შემნხველს მიერ საქონელი მიღებული უნდა ჰქონდეს მფლობელობაში, თუმცა არაპირდაპირი მფლობელობის მოპოვებაც საკმარისია (მაგალითად მესამე პირთან საქონლის დასაწობების შემთხვევაში).

[1] *ზარნაძე,* ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კვალიფიკაცია, ზურაბ ახვლედიანი 70, საიუბილეო კრებული, 2004, გვ. 95.

## II. სასაწყობო მოწმობის შინაარსი

2 სასაქონლო მოწმობის შინაარსი და მონაცემების კატალოგის ნაწილი მსგავსია ზედნადების შესახებ არსებული მოწესრიგებისა (მუხლი 674), რათა უზრუნველყოფილი იყოს სატრანსპორტო ბრუნვაში გამოსაყენებელი დოკუმენტების ერთიანი სტრუქტურა.

3 789 I იძლევა სასაქონლო მოწმობის აუცილებელი მონაცემების ჩამონათვალს, მათ შორის სასაქონლო მოწმობის გაცემის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი, მხარეთა ვინაობა და მისამართი, შენახვის ადგილი, საქონლის შენახვის წესი, შესანახი საქონლის აღწერა (ოდენობა, ზომა ან წონა) და ხარისხი, საქონლის შეფუთვისას – შეფუთვის აღწერა, შენახვის საზღაურისა და სხვა აუცილებელი ხარჯების ოდენობა, თუ შესანახი საქონელი დაზღვეულ უნდა იქნეს, მაშინ – სადაზღვევო თანხა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა. სასაქონლო მოწმობის სავალდებულო რეკვიზიტების შემადგენლობა ფაქტობრივად არის სასაქონლო მიბარების ხელშეკრულების არსებითი პირობების შემადგენლობაც, რომლის წერილობითი სახე ფაქტობრივად სასაქონლო მოწმობაში გამოიხატება. ამასთან, სასაქონლო მიბარების ხელშეკრულების შინაარსი არ ამოიწურება ამ აუცილებელი პირობებით, რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია სასაქონლო მოწმობის აუცილებელი რეკვიზიტების დადგენის გზით. **დამატებითი მონაცემები** შესაძლებელია ჩამატებულ იქნეს, თუკი ამას სასაქონლო საწყობში შემნახველი მიზანშეწონილად მიიჩნევს (789 II). **სასაქონლო საწყობში შემნახველის ხელმოწერა** სასაწყობო მოწმობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. შემნახველის ხელმოწერა უნდა იქნეს დამოწმებული შესაბამისი ბეჭდით (789 I ი ქვეპუნქტი).

## III. სამართლებრივი შედეგი

4 სასაქონლო საწყობში შემნახველის მიერ თავისი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. მან სასაწყობო მოწმობის ლეგიტიმური მესაკუთრე იმ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს, რომელშიც იგი იქნებოდა, მოწმობის მონაცემები წესრიგში რომ ყოფილიყო.[2]

[2] შდრ. MüKo/*Frantzioch*, HGB, 2. Aufl., § 475c, Rn. 4.